სსიპ განათლების
საერთაშორისო ცენტრი

ათეა

მემორანდუმი

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრსა
და ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია შორის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 2024 წლის 1 მაისი

პრეამბულა

ერთი მხრივ, **სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი** (შემდგომში - ცენტრი), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის **ნუნუ მიცკევიჩის** სახით და, მეორე **ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია** (ს/ნ 200125676) (შემდგომში-ათეა) წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის **ნინო რუხაძის** სახით, შემდგომში ერთად „მხარეებად" წოდებული თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი

კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლონ რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

მხარეები წინამდებარე მემორანდუმით ადასტურებენ:

2.1 ხელს შეუწყობენ ადგილობრივ თვითმმართველობებსა და რეგიონების საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული გაძლიერებისათვის დაგეგმილი პროგრამების/პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას;

2.2 ითანამშრომლებენ სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამების ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობებსა და რეგიონების საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა პროფესიული განვითარებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

2.3 ითანამშრომლებენ ადგილობრივ თვითმმართველობებსა და რეგიონების საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებებში ცენტრის სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამების ფარგლებში კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 3. დამატებით ვალდებულებებზე შეთანხმება

წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები მხარეებმა შესაძლებელია განსაზღვრონ მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4. ცვლილებისა და დამატების შეტანა

მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. თითოეული ასეთი ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით.

მუხლი 5. მემორანდუმის მოქმედება და მისი შეწყვეტის წესი

5.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 7 (შვიდი) წლის ვადით.

5.2 მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, 1 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 6. ასლების ავთენტურობა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი	ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
----------	----------
ნუნუ მიქაველიძე	ნინო რუხაძე